მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციის საჯაროობის 2023 წლის ანგარიში

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციის საჯაროობის 2023 წლის ანგარიშს.

საანგარიშო წლის განმავლობაში:

1. საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარედგინა 9 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით საკრებულოსთვის მომართვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. საკრებულოს არ მიუღია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.
2. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა დაკმაყოფილდა 9-ვე შემთხვევაში. გადაწყვეტილება თითოეულ შემთხვევაში მიღებულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის-საკრებულოს აპარატის უფროსის, გოჩა წოწორიას მიერ. საკრებულოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.
3. საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის ფაქტები არ ყოფილა.
4. საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დაკისრების არცერთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.
5. საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.